



5) հազնեց

Երևան -

7.00

Անօսման

1. Առ դուշտա -
- 2 Յա լուսացնելիք
3. Խջողեն անձնագիր պահպան
4. Ինչեւս 1-5000
5. Ցըլես Եվոսն Եղիսաբէթն
6. Յասիկն Ճմխնե Ծյուն
7. Գւշտա - ՏՆ. Անդրեաս Շահմանին
8. Հենքոս Կիբրետու աղջու
9. Կահաճալու ըստ Կիշունաս
10. Մայուսիս Սկսուր յօվեան

7.00

Übz p 163

6-361300

zum Abdruck



ଶର୍ମିଳା

ჰერბერტ სპეციალისტ.

მიწით სარგებლობის უფლება.

თავისუფალი თარგმანი ინგლისურიდან

ი. ნაკაშიძისა.

გამოცემა გუთნასა, № 3.

თბილისი

სტამბა მ. ე. ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქ., სახ. № 3
1906 წ.

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 4-го марта 1906 г.

მიზით სარგებლობის უფლება

ჭერბერტ სპენსერისა.

(თავისუფალი თარგმანი ინგლისურიდან ი. ნაკაშიძისა).

წარმოვიდგინოთ ისეთი სულდგმულნი, რომელნიც ერთნაირად სცდილობენ თავიანთი სურვილი დაკმაყოფილონ; წარმოვიდგინოთ ისეთა ქვეყანა, რომელიც მათის სურვილის დასაკმაყოფილებლადაა მოწყობილი; ქვეყანა, სადაც ყველანი ერთნაირად იბადებიან. მაშინაცვე მივხვდებით, რომ ამ სულდგმულთ ერთნაირი უფლება უნდა ჰქონდეთ ისარგებლონ ამ ქვეყნის ნაყოფით. თუ კა თვითეული სულდგმული თავისუფალია სურვილისამებრ მოიქცეს, ოღონდ სხვების ამგვარივე თავისუფლება არ დაარღვიოს. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ სულდგმულს თავისუფლება აქვს ისარგებლონ დედა-მიწით თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, და ამავე დროს სხვებსაც უნდა დაუთმოს ამგვარივე თავისუფლება, პირიქით, თუ ვინმე მათგანმა მხოლოდ თავის ხელში ჩაიგდო დედა-მიწა და სხვას არ ასარგებლებს, ეს იმას ნიშნავს, რომ თა-

ვისთვის მეტი თავისუფლება უნდა, ვიდრე სხვები-
სათვის და ამიტომ თანასწორობის ძირითად კა-
ნონს არღვევს.

ამიტომ თანასწორ უფლების, ადამიანთა შო-
რის ძმობის წინააღმდეგია მიწის საკუთრება. რაღ-
ან თუ ერთ რომელსამე ადამიანს უფლება აქვს
დედა-მიწის რომელიმე ნაწილი დაისაკუთროს და
თავის გემოზე მოიხმაროს, თითქო რაღაც თავის
განსაკუთრებულ უფლების ძალით, მაშინ ხომ სხვე-
ბიც დაიჩემებენ ამგვარს უფლებას და დაეპა-
ტრონებიან მთელ დედა-მიწის ზურგს. ამგვარად
მთელი დედა-მიწა კერძო მესაკუთრებს ჩაუვარდე-
ბათ ხელში. იფიქრეთ ახლა, რა შედეგი მოჰყვება
ამგვარ მდგომარეობას. კერძო მემამულეები მთელ
დედა-მიწის ზურგს ნაწილ-ნაწილად დაიტაცებენ,
დედა-მიწის შესახებ თავის ვითომ და კანონიერ
უფლებას განაცხადებენ, არა-მემამულეთ კი მშრალ-
ზე დასტოვებენ, ესე იგი არავითარ სხვა უფლებას
არ მიანიჭებენ გარდა იმისა, რომ მემამულეების
წინაშე გამოცხადდნენ და ვედრებით მიმართონ:
„მოიღეთ მოწყალება და რამენაირად ჩვენც გვაც-
ხოვრეთ ამ დედა-ბიწაზეო“. ამგვარად ისინი, ვისაც
შემული არა აქვთ, არა სასურველი სტუმრები იქნე-
ბიან ამ წუთი-სოფელში. მემამულეების ნება თუ
არ იქნა, ფეხის დასადგმელ მცირე აღგილსაც ვერ
იშოვნიან ვერსად. ცივი უარი რომ უთხრან მემა-
მულეებმა, მაშინ უმიწაწყლო ხალხი ხომ იძულე-

ბული იქნება სრულებით გადაშენდეს, კვალ-წმინ-დათ აღიგავოს ამ წუთი-სოფლიდან.

ნათქვამიდან დღესავით ნათელი აზრი, უნდა გამოვიყენოთ, რომ მიწის მესაკუთრეობა უდრის ადამიანთა შორის თანასწორ თავისუფლების დარ-ლვევას, უმიწაწყლო ხალხის დაჩაგვრა-დაბეჭავებას. ცხადზე უცხადესია, რომ ის ადამიანი, რომელიც ბატონის ნება-დაურთველად ვერ იცხოვრებს ამ დედა-მიწაზე, იმდენად თავისუფალი არ არის, როგორც იქისი ბატონი.

ჩვენ გარეშემო ცხოვრებას რომ დაუკვირდე-ბით, მოვნახავთ კიდევ შეტ საბუთებს, რომელიც ძირს უთხრიან მიწის საკუთრებას. ვერავინ ვერ იტყ-ვის, რომ დღევანდელი მიწის საკუთრების საფუძვე-ლი კანონიერია. თუ ვინმემ გაბედა და სთქვა, სა-კმაოა ძველი ჩვენი მატიანები გადვუშალოთ თვალ-წინ, რომ ხმა გავაკმენდინოთ. ძალმომრეობა, მა-ტყუება, სიყალბე, ძალისა და ვერაგობის უპირა-ტესობა—აი მიწის საკუთრების დასაბამი. ძველი გუჯრები, რომლის ძალით მამულები კერძო სა-კუთრებად იქნა ცნობილი, ხმლით და არა კალმით არის დაწერილი; ამ გუჯრებს ამტკიცებდნენ მეო-მარნი და არა მართლ-მსაჯულნი; ფულით კი არა, ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ. მიწის პატრონებს; ლუქის მაგიერ სისხლის ბეჭედს ასვამ-დნენ ამ გუჯრებზე. ნუ თუ ამ გვარად ნამდვილ კანონიერ უფლების შექმნა შეიძლებოდა? ვერასო-

დეს. თუ აგრეა, რა უფლება აქვს იმ ძველ მოძალადე მემამულეების შთამომავლობას სთკვას, რომ იმისი საკუთრება კეთილ შენაძენია? მამულები მესაკუთრეთა მოღვაწიდან მოღვაწე გადადის მემკვიდრეობით, ან არა და სხვებს უვარდება ხელში ნასყიდობის ქალალდის ძალით. მაგრამ განა შეიძლება მემკვიდრეობით და ნასყიდობის ქალალდით გადაცემა იმ უფლებისა, რომელიც არასოდეს არა პქონიათ მემამულეებს? ნუ თუ მამულის ყალბი გადაცემა ნამდვილ უფლებას შეჰქმნის? როცა ნაქურდალი ნივთი აღმოაჩნდება ვისმე გარეშე კაცს, ნუ თუ სასამართლო არ დაუბრუნებს ამ ნივთს თავის პატრონს და საბუთად წამუაყენებს, რომ ნაქურდალი სხვის ხელშია გადასული? რასაკვირველია, დაუბრუნებს. თუ ნაქურდალმა ნივთმა ბევრ კაცთა ხელში გაიარა ამ ნაირად კეთილ შესაძენად, კანონიერ მემკვიდრეებად გადაიქცა? თუ კი იმ თავითვე მიწის საკუთრების უფლება არარაობა იყო, რამდენჯერაც უნდა გავამრავლოთ ეს არარაობა, რამდენ კაცის ხელშიაც უნდა გადავცეთ, მაინც არარაობად დარჩება და მტკიცე, სამართლიან უფლებას ვერ შეჰქმნის. დღევანდელი სახელმწიფო კანონიც ამტკიცებს ამას, ამ კანონის ძალით ამა თუ იმ ნივთის პატრონმა, თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა დაამტკიცოს, რომ იმათ, რომლებისაგანაც მან ეს ნივთი მემკვიდრეობით ან ნასყიდობით შეიძინა, ხსენებულ ნივთის გაყიდვისა ან მემკვიდრეობეს. თუ აგრეა, რა უფლება აქვს იმ ძველ მოძალადე მემამულეების შთამომავლობას სთკვას, რომ იმისი საკუთრება კეთილ შენაძენია? მამულები მესაკუთრეთა მოღვაწიდან მოღვაწე გადადის მემკვიდრეობით, ან არა და სხვებს უვარდება ხელში ნასყიდობის ქალალდის ძალით. მაგრამ განა შეიძლება მემკვიდრეობით და ნასყიდობის ქალალდით გადაცემა იმ უფლებისა, რომელიც არასოდეს არა პქონიათ მემამულეებს? ნუ თუ მამულის ყალბი გადაცემა ნამდვილ უფლებას შეჰქმნის? როცა ნაქურდალი ნივთი აღმოაჩნდება ვისმე გარეშე კაცს, ნუ თუ სასამართლო არ დაუბრუნებს ამ ნივთს თავის პატრონს და საბუთად წამუაყენებს, რომ ნაქურდალი სხვის ხელშია გადასული? რასაკვირველია, დაუბრუნებს. თუ ნაქურდალმა ნივთმა ბევრ კაცთა ხელში გაიარა ამ ნაირად კეთილ შესაძენად, კანონიერ მემკვიდრეებად გადაიქცა? თუ კი იმ თავითვე მიწის საკუთრების უფლება არარაობა იყო, რამდენჯერაც უნდა გავამრავლოთ ეს არარაობა, რამდენ კაცის ხელშიაც უნდა გადავცეთ, მაინც არარაობად დარჩება და მტკიცე, სამართლიან უფლებას ვერ შეჰქმნის. დღევანდელი სახელმწიფო კანონიც ამტკიცებს ამას, ამ კანონის ძალით ამა თუ იმ ნივთის პატრონმა, თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა დაამტკიცოს, რომ იმათ, რომლებისაგანაც მან ეს ნივთი მემკვიდრეობით ან ნასყიდობით შეიძინა, ხსენებულ ნივთის გაყიდვისა ან მემკვიდრეობეს.

შით გადაცემის უფლება ჰქონდათ. თუ კი პირვან-დელი ანდერძი ან ნასყიდობის ქაღალდი ყალბად იყო შედგენილი, ნივთი კანონიერ გადაცემულად არ იქნება ცნობილი იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ამ ნივთმა მრავალ პატრონის ხელში გაიარა. ყალბად ნაანდერძევ ან ნაყიდ ნივთის მესაკუთრე ამ თავის საკუთრებას ჰყარგავს.

„ყველა ეს გვჯერა, — ამბობენ ზოგიერთები, — „მაგრამ ისიცა გვწამს, რომ დრო დიდებული კანონმდებელია. ის მამული, რომელსაც ძველის დროიდან ჰქონდა ადამიანი, იმის კანონიერ საკუთრებას უნდა შეადგენდეს. ის, რაც მთელ საუკუნოების განმავლობაში კერძო საკუთრებად იყო ცნობილი, რის გაყიდვა, აღებ-მიცემა შეიძლება, დღესაც თავის პატრონის უცილობელ საკუთრებად უნდა ვიცნათო“. ამ აზრს მხოლოდ მაშინ დავე-თანხმებით, თუ მთქმელი რაიმე გარკვეულ საბუთე-ბით დაგვიმტკიცებს თავის სიმართლეს. მაგალითად, შემდეგ კითხვაზე გაგვცეს პასუხი: „რამდენი ხანია საჭირო იმისათვის, რათა ის, რაც პირველად უსა-მართლობა იყო, სამართლად გადაიქცეს? თან-და-თან უამთა მსვლელობის მიხედვით, რამდენი აკლ-დება საეჭვო უფლების თვისებას და რა ზომის უეჭ-ველობა ემატება? თუ კი ყოველნაირი უფლება ვთქვათ ათასის წლის შემდეგ უეჭველ უფლებად გადაიქცევა, რამდენად განმტკიცდება იმისი უეჭვე-ლი თვისება ორი ათასი წლის შემდეგ და სხვა?“.

ამ კითხვებზე საპასუხოდ მსურველმა ხომ სრულებით არა ჩვეულებრივ ანგარიშს უნდა მიმართოს.

ამ წერილში ჩვენ უყურადღებოდ ვსტოვებთ იმას, რასაც დღევანდელი სახელმწიფო კანონი სამართლიანად სცნობს. არ ვეხებით იმ სხვა-და-სხვა შეღავათს, უპირატესობას, რომელთაც დღევანდელი კანონი ამა თუ იმ კერძო პირთ ანიჭებს. ჩვენი მიზანია ისეთ დასკვნას დავადგეთ, რომლის საფუძველი საყოველთაო თანასწორი უფლება და სამართლიანობაა. ერთად ერთი დასკვნა კი ის არის, რომ ჩვენ უნდა უარვყოთ დღეს არსებული კერძო კაცთა ყველა უფლება დედამიწის საკუთრების შესახებ და ყველა ქალალდების, დავთრების, გუჯრებისა, აღათების და კანონების წინააღმდეგ უნდა ვიცნათ ამ დედამიწაზე მხოლოდ მთელის კაცობრიობის საყოველთაო უფლება.

ცხადია, რომ დღევანდელ მიწის მესაკუთრეების უფლებათა გამართლება შეუძლებელია. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ ისეთ წესს, ისეთ საშუალებას, რომლის შემწეობითაც დედამიწაზე კერძო საკუთრება შესაძლებელი გახდება. საზოგადოდ, უმრავლესობა იმ აზრისაა, ვინც მიწა დაიმუშავა იმას უნდა ჰქონდეს კანონიერი უფლება ამ მიწაზე. ყველას, ვინც ახოს გაკაფავს ადგილს დაიმუშავებს, საკუთრად უნდა მიეცესო, მაგრამ თუ კი ეს უფლება საეჭვო და საკამათოა, რა ნაირის მოსაზრებით შეიძლება იმის გამართლება? წამიერათ ყური

დავუგდოთ ერთ საგულისხმიერო საუბარს. „ძმაო ჩემო! ეუბნება ვიღაც უცნობი კაცი ტყის კიდეზე მცხოვრებ მოახალშენე გლეხს, რომელიც თავის ქოხის კარებთან ზის ღიბუს აბოლებს: რა უფლებით დაეპატრონეთ თქვენ ამ ახოს, რომელიც გაგიკაფავთ, შეგიღობიათ და ზედ ხის სახლი აგიშენებიათ?“.

„რა უფლებით?... იმიტომ ვფლობ ამ ადგილს, რომ წინააღმდეგი არავინ ამომჩენია. სწორედ იმ-დენი უფლება მქონდა ამ ადგილზე დავმდგარიყავი, რამდენიც სხვებს. მას შემდეგ-კი, რაც მე ეს ტყე გავკაფე, ადგილი დავხანი და დავთესე, თქვენზე და სხვებზე უფრო მე შევიქენი ამ ადგილის მესაკუთრე და მსურს ჩემ უფლებაში დავრჩე“.

„ასე ამბობთ ყველანი, მაგრამ ამნაირად ვერ დაამტკიცებთ თქვენს უფლებას. როცა პირველად მობძანდით ამ ალაგას, დაგხვდათ აქ ტყე, ბალა-ხით მოფენილი ვაკე და ბუჩქნარი. თქვენ გასწინ-დეთ ეს ადგილი და წინანდელ მცენარეების მაგიერ მოგყავდ აქ პური, სიმინდი და თამბაქო. მხოლოდ ერთი რამ არის ჩემთვის გაუგებარი და ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ: რანაირად მოხდა რომ თქვენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ადგილზე წინანდელი მცენარეები მოსპერ და სამაგიეროდ ახლები აღმო-აცენეთ, სამუდამოდ ამ მიწის პატრონი გახდით?“.

„ამაზე ვიპასუხებთ, რომ იმ მცენარეებში რო-მელიც წინად იზრდებოდა ამ ალაგას, ზოგს სულ მცირე სარგებლობა მოჰქონდა, ზოგიც სრულებით

უსარგებლო იყო. მე-კი ისე დავიმუშავე მიწა, რომ
ახლა საჭმელად გამოსაღები მცენარეები მოჰყავს,
ჭირნახული, რომელიც აღამიანს სიცოცხლეს და
კეთილდღეობას ჰმატებს“.

„მართალს ბძანებთ, მაგრამ ამით მაინც ვერ
ამტკიცებთ, რომ დედამიწის ზურგის ის ნაწილი,
რომელიც დაიმუშავეთ, ამ გზით ოქვენ საკუთრებად
გადაიქცა, მართლაც რას შვრებოდით ოქვენ? გუთ-
ნითა და ნიჩით რამდენიმე გოჯის სიღრმეზე დე-
დამიწა გადააბრუნეთ, ზედ თესლი მოაბნიეთ და
შეჰქრიბეთ ის მოსავალი, რომელიც აღმოაცენა დე-
დამიწამ მზის, წვიმის და ჰაერის შემწეობით. ამიხ-
სენით ახლა, თუ შეიძლება, ამ თქვენშა მოქმედებამ
რა სასწაულის შემწეობით გაგხადათ ერთად-ერთ
შესაკუთრედ იმ უზარმაზარის ნივთიერებისა, რომ-
ლის ზედა-პირია მხოლოდ თქვენგან დამუშავებული
მიწა, სიღრმე-კი დედამიწის შუაგულამდის ჩადის.
რანაირად გადააქცია ამ თქვენშა შრომამ თქვენ და
თქვენი შთამომავლობის საუკუნო საკუთრებად მთ-
ლი ის მასალა, რომელიც ამ მიწაშია დაცული?“

„კარგი და, ჩემი თუ არაა, მაშ ვისია ეს ადგილი?
მე ხომ არავისი უფლება არ დამირღვევია. როცა პირ-
ველად მდინარე მისისიპი გადმოვიარე და ამ ალაგას
მოველ, აქ უდაბური ადგილები და ტყეები დამხვდა.
სხვა ვინმეც რომ მოსულიყო ამ ალაგას, ახო გაეკეთე-
ბინა, მიწა გაეწმინდა და დამდგარიყო ამ ტყეში,
სწორედ იმდენივე უფლება ექნებოდა რამდენიც

დღეს მე მაქვს. ისეთი არაფერი არ ჩამიდენია, რო-
მ უფლებაც არა ჰქონდა ყველას, ვინც ჩემზე ად-
რე მოვიდოდა ამ ალაგას. სანამ ეს ადგილი უდაბური
იყო, იგი ყველას ეკუთვნოდა; ახლა-კი ჩემ საკუთ-
რებად იმიტომ გახდა, რომ პირველად მე აღმოვა-
ჩინე და დავიმუშავე ეს შიწა“.

„თქვენ მართალი ბძანეთ, რომ ეს ადგილი,
სანამ უდაბური იყო, ყველას ეკუთვნოდაო. ხოლო
მოვალე ვარ დაგიმტკიცოთ, რომ დღესაც იგი ყვე-
ლას ეკუთვნის და მთელი ეს, თქვენი მეურნეობა
ვერ მოსპობს ამ ადგილზე საყოველთაო უფლებას.
თქვენ ნება გაქვთ ეს ადგილი დახნათ, დაფარცხოთ,
პური დათესოთ და მოსავალი აიღოთ. შეგიძლიანთ,
რამდენიც გნებავთ, იმდენი აბრუნოთ ეს მიწა; მა-
გრამ მაინც მთელი ეს შრომა ვერ გახდის თქვენ
საკუთრებად იმას, რაც წინად თქვენი არა ყოფი-
ლა. ნება მომეცით, ჩემი აზრი განვიმარტო: წარ-
მოიდგინეთ, რომ მგზავრობის დროს ერთ ცარიელ
სახლს მიაგენით, რომელიც, თუმც ნახევრად დან-
გრეულია, მაგრამ მაინც მოგწონთ. მოისურვეთ ამ
სახლში დადგომა და ბევრი დრო მოანდომეთ და
შრომა გასწიეთ იმის შეკეთებას—შეღებეთ, შეათე-
ორეთ, ბოძები შეუდგით; ბევრი ფული დახარჯეთ
და სახლი საცხოვრებლად მოაწყეთ. წარმოიდგინეთ
ახლა, რომ ერთ უბედურ დღეს თქვენ თვალთა წი-
ნაშე გამოცხადდა ვილაც უცნობი ადამიანი, რომე-
ლსაც ეს სახლი ანდერძის ძალით დარჩა და დღეს

ხელთა აქვს ყველა საჭირო ქაღალდი ამ თავის უფლების დასამკვიდრებლად. რა ბედი ეწევა მაშინ მთელ თქვენ საოჯახო მოწყობილებას? ნუ თუ თქვენ ნაშრომ-ნაამაგარის შემწეობით შეიძლებთ სერიოზულად დაამტკიცოთ თქვენი უფლება ამ სახლის შესახებ? ნუ თუ ამნაირად დაარღვევთ სახლის ძველ მესაკუთრის უფლებას?“

„მართალს ბრძანებთ: არასოდეს.“

„მაშ აქედან ცხადია, რომ ამ ადგილზედაც მთელმა თქვენმა ნაშრომმა არ მოგცათ რაიმე სერიოზული უფლება, რათა დედამიწის ამ კუთხეს დაეპატრონოთ. განა დღესავით ნათელი არ არის, რომ თქვენმა მეცადინეობამ ამ ადგილის პირველი მესაკუთრის—კაცობრიობის უფლება ვერ გააქარწყლა? ეს ქვეყანა ღმერთმა მთელ კაცობრიბას უანდერძა. ადამიანები ყველანი საერთოდ და სხვათა შორის თქვენც ღვთის მემკვიდრენი არიან, ამიტომ, როცა თქვენ დედამიწის ამა თუ იმ კუთხეში სახლდებით, მიწას დაიმუშავებთ და მოსავალს მოიყვანთ, ამ გზით დიაღაც ვერ გახდებით ამ ადგილის სრულ მესაკუთრედ. რომ მიისაკუთოთ კიდეც, მიწის კანონიერ მესაკუთრეს—საზოგადოებას სრული უფლება აქვს, როდესაც ისურვებს, აგყაროს ამ ადგილიდან.“

„ძალიან კეთილი. მაგრამ რასაკვირველია, ისე არ განმდევნით ამ ადგილიდან, რომ არ მიზღოთ ის ზედმეტი საკმაოდ დიდი ფასი, ის ლირებულება,

რომელიც მე ამ მიწას შევძინე იმით, რომ უდაბური ადგილი მოსავლის მომცემ ყანად გადავაქციე. შშრალზე ხომ არ დამტოვებთ, არ წამართმევთ ჩემ ხანგრძლივ ლვაწლის ნაყოფს, ფასს იმ შრომისას, რომელიც მე გავერანებულ ადგილის გასაუმჯობესებლად დავხარჯე?“

„ამას არავინ წაგართმევთ, რასაკვირველია. როგორც იმ შემთხვევაში, როცა სრულს სახლს დაეპატრონეთ და შეაკეთეთ, სახლის მესაკუთრე ვალდებულია დაგიბრუნოთ სახლის შეკეთებაზე მთელი თქვენი დანახარჯი, ისე აქაც საზოგადოება, რომელიც ჩამოგართმევს ადგილს, ვალდებულია თქვენი შრომის ნაყოფი დაგიბრუნოს, ის ზედ-მეტი ფასი, რომელიც თქვენმა შრომამ ამ ადგილს შეძინა, თქვენი სამართლიანი საკუთრებაა. ცხადია, საზოგადოების ნება-დაურთველადაც რომ შეაკეთოთ იმისი კუთვნილი ადგილი, იგი მაინც ვალდებულია გიზლოთ შრომის ფასი. მაგრამ როცა საზოგადოება სამართლიანად სცნობს, რომ თქვენ ეს ფული გიზლოთ, ეს იმას არა ნიშნავს, რომ ამ ადგილის შესახებ თქვენ უფლებასაც სამარლიანად სცნობდეს. უეჭველია, ნება გაქვთ მოითხოვოთ, რომ თქვენი დანახარჯი გიზლონ; მაგრამ ამავე დროს ვერაფრის გზით, ვერავითარ საშუალებით ან მოქმედებით ვერ გახდით ამ ერთ ნაჟერ მიწას თქვენ კერძო საკუთრებად“.

„შეიძლება ზოგიერთმა აჩქარებულად იფიქ-

როს, კერძო კაცთა შორის სამართლიანად უნდა გაიყოს დედამიწა და მათ საკუთრებად გადაიქცესო. განა არ შეუძლიანთ ნებაყოფლობით შეთანხმდნენ და გაჰყონ ერთმანეთში ეს დედამიწაო? იგი რომ ყველას ხვდა მემკვიდრეობით, საერთოდ ყველანი თანამემკვიდრენი არიან, და ნუ თუ ვერ დაჰყოფენ მიწას სწორ ნაჭრებად და თვითეულ კაცს ვერ მიათვისებენ როგორც მის სრულ საკუთრებას?“

„ამაზე შეგვიძლიან მხოლოდ ის ვუპასუხოთ, რომ დედამიწის სხვა და სხვა ნაწილების ფასის გამორკვევა ძნელი საქმეა. ადგილები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის და მიუხედავად, თუ რამდენად მოსავლიანია მიწა, რანაირი მისვლა-მოსვლა და გზებია, რა აღებ-მიცემობაა, რა სიშორეზეა განათლების ცენტრიდან, ამა თუ იმ ქალაქიდან და სხვა. ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინება და იმისდა გვარად ადგილის დაფასება ჩვენ შეძლებას აღმატება.“.

„მაგრამ ყველა ამ მოსაზრებას თავი დავანებოთ და ჩვენ თავს ვკითხოთ: ვინ უნდა იყვნენ ის ბედნიერ დღეს დაბადებულნი, რომელთაც დედამიწა საკუთრებად უნდა ჰქვდეს? ყველა მოწიფული ვაჟკაცი და ყველა ის, ვისაც დანიშნულ დღეს ოცდა-ერთი წელიწადი შეუსრულდა? კარგი და პატიოსანი; რაღა შეხვდება იმათ, რომელნიც სრულწლოვანობას მეორე დღეს მიაღწევენ? იქნება იმ აზრისა იყოთ, რომ მიწა ნაწილ-ნაწილად უნდა

ხვდეს თითოეულ მამაკაცს, ქალსა და ბავშვს. კარგი და რაღა შეხვდებათ იმათ, რომელნიც შემდეგ წელს გაჩნდებიან? რა ბედი ეწევა იმათ შვილებს, რომელთა მშობლები გაჰყიდიან თავ-თავის ხვედრ მიწას და გაფლანგავენ ფულს? ეს უმიწა-წყლოდ დატოვებული ხალხი ხომ მოხსენებულ ბოგანოთა ჯარს შეადგენს, რომელიც სხვისი მოწყალებით ცხოვრობს და ბატონ-ყმობის უღელშია ჩაბმული. ნუ თუ ამ ხალხის ამგვარ ყოფაში ჩაგდება ადამიანთა თანასწორ თავისუფლების შებლალვა არ არის?“

„ამიტომ, რადგან ჩვენ არავითარი უფლება არა გვაძეს ამ გვარად გადავწყვიტოთ ეს საკითხი, რადგან არ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ღმერთმა კაცთა ერთ მოდგმას განსხვავებული შეღავათი მიანიჭა, შემდეგ მოდგმათა უფლებას კი ფრთა შეუკვეცა; რომ დანიშნულ ვადის შემდეგ დააადებულთ მონობა უნდა ჰხვდეს წილად, — ამიტომ უნდა სავსებით უარვყოთ დედამიწის ამგვარი უსამართლო დაყოფა“.

„ზოგიერთები, რასაკვირველია, იტყვიან: უკიდურეს მოძღვრებას, უმწვერვალეს სიმართლეს ჰქადაგებთ და იმიტომ გეძნელებათ დედამიწის შესახებ საკითხის გადაწყვეტა. ზომიერ და გონიერ სიმართლეს რომ მისდიოთ, ადვილად გაარიგებთ ამ საჭმესაო. ბევრს ერთობ უყვარს ამგვარი აზროვნება: სძაგლ ყველაფერი, რასაც გადაჭრილ მსჯელობის ხასიათი აქვს. იმათ რომ ჰყითხოთ, გეტყვიან, არც

ერთ უკიდურეს აზრს სიმართლე არ მიუძღვის, ამიტომ ჭეშმარიტების სადგური ამ უკიდურესობათა შუა-ალაგას უნდა ექცებოთ. ისინი ყოველთვის სკიდილობენ „ჰო“ და „არას“-ს შორის ზავი ჩა-მოაგდონ. „თუ“, „მაგრამ“, „დაახლოვებით“, „ერთისა და მეორეს მხრით“, — აი მათი საყვა-ტელი პაწ-პაწია სიტყვები. ისეთი ღრმა რწმენა აქვთ თავის გონიერ და ზომიერ შუა-გულ ჭეშმა-ტებისა, რომ დიდებულ მოციქულსაც უარპოფენ, თუ უცაბედად მათ ოვალთა წინაშე გამოცხადდება და რაიმე გადაჭრილ სიმართლეს აღიარებს. სკადეთ და ერთი ჰყითხეთ, როგორ ბრუნავს დედა-მიწა თა-ვის ლერძე: აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თუ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, — და უეჭველად უემდეგ პასუხს მიიღებთ: თუ არ ვსცდებით, იქი-თაც და აქეთაც უნდა ბრუნავდეს, ანუ, უკეთ რომ უსთვეათ, არც იქითა და არც აქეთა“-ო. სწორედ სეჭვლდ მიგვაჩნია, ეს ხალხი იმაზედაც დავითანხ-მოთ, რომ მთელი ნივთი და ნივთის ერთი ნაწილი ერთმანეთს არ უდრის. ისეთ უცნაური გემოვნების ვაჟბატონები გახლავან ესენი, რომ თუ გსურთ აამოთ, ჭეშმარიტება სხვადასხვა ნაირ სიყალბით უნდა შეაზა-კოთ. მათ შეგნებას აღემატება ყოველი სწორი ნათე-ლი, გარკვეული და უნაკლულო სიმართლის კანონი. ამიტომ როცა ჩამოვარდება ხოლმე საუბარი ისეთ ღრმა შნიშვნელოვან საგნებზე, რომლის შესახებაც ამ უაზიდ ჩვენცა ვმაჯელობთ, ეს ხალხი ძალიან მე-

კადინეობს, რომ რამენაირად თავის კიშტო შეჯ-
ლობის კალაპოტში ჩააყენოს ეს საკითხი, მოაღუ-
ნოს, დაამციროს, ფრთა შეუკვეცოს და პროტესტის
უცხადებს იმათ, რომელნიც უნაკლულო, გადაჭ-
რილ ჰქონდარიტებას ეძებენ ცხოვრებაში“.

„უნდა გავახსენოთ ამ ოჯულის ხალხს, რომ ზნე-
ობრივი ჰქონდარიტებაც ისეთი ცხადი, სწორი და უცი-
ლობელი უნდა იყოს, როგორც მათემატიკაში ორ-
ჯელ-ორი ოთხია. იმ ზნეობრივ საკითხშიაც, რომელ-
საც ჩვენ ვეძებდით, მხოლოდ ერთი გადაჭრილი პა-
სუხი შეიძლება: ან „ჰო“ და ან „არა“. ადამიანთ
ან აქვთ უფლება დედა-მიწა კერძო საკუთრებად გა-
ხადონ, ან არა აქვთ ეს უფლება. საშუალო პასუხი
აქ შეუძლებელია. ერთად-ერთ გარკვეულ დასკვნას
უნდა დავაღვეთ. სანახევრო ჰქონდარიტებას ვერ
გამოუდგებით, ცხოვრების ვითარება სასტიკად ით-
ხოვს ჩვენგან გადაჭრილ პასუხს.

თუ ადამიანთ არა აქვთ ამგვარი უფლება დე-
დამიწის საკუთრების შესახებ, მაშინ ჩვენთვის საჭი-
როც აღარ არის ყველა ის საბუთი, რომელიც ამ
წერილში მოყვანილი გვქონდა. თუ აქვთ ამგვარი
უფლება—მაშინ უნდა ვიცნათ იგი დაურღვეველ, სა-
უკუნო და წმინდა უფლებად. თუ აქვთ უფლება
მიწა ადამიანის საკუთრებად გამოაცხადონ, მაშინ
ყოვლად სამღვდელო არქიეპისკოპოსი ლიძისა დი-
აღაც სამართლიანად იქცევა, როცა მგზავრებს ბენ-
მაკდუის მიღამოების დასათვალიერებლად არ უშ-
ვებს; ატოლის ჰერცოგიც მართალია, როცა მღი-
ნარე ტილტის ჭალებში არავის არ აქაჭანებს; ჰერ-
ცოგ ბეკლუც ჩინებულად იქცევა, როცა პროტესტან-
ტებს ადგილს არ აძლევს თავიანთ ეკკლესიის ასაშე-

ნებლად და ოუტერლანდის ჰერცოვიც, ოუცა შოტ-ლანდის გლეხებს სდევნის და მათ ნასახლარზე თავის საქონლისათვის ბაკებს აკეთებინებს. თუ აქვთ ადა-მიანთ უფლება დედამიწაზე, მაშინ რომელიმე მამულის, ვთქვათ ჯერსეისა ან გერნსეის, ერთად ერთა მესაკუთრე სრულის სიმართლით მოიქცევა, როცა ამ მამულში მცხოვრებთათვის სხვა-და-სხვანაირ სა-ვალდებულო დადგენილებათ გამოსცემს, მაგალი-თად, თავის ადგილიდან აჰყრის ყველას, ვინც მემამუ-ლეს სარწმუნოებას არ აღიარებს, იმის ენაზე არ ილა-პარაკებს, მისდა საამოდ პატივს არ სცემს, მისგან ნაპძანებ ტანსაცმელს არ ატარებს და ყველა იმ ბძანებას არ ემორჩილება, რომელსაც მემამულე გამოაცხადებს. თუ კი ადამიანთ აქვთ უფლება დე-და-მიწის შესახებ, მაშინ ძველი წესის დამცველ უკიდურეს კონსერვატიულ დასს დიალაც უფლება აქვს გამოაცხადოს, რომ ყველა ქვეყნების კანონი-ერი მართვა-გამგეობა მესაკუთრეების — მემამულეების ხელში უნდა იყოს; რომ ხალხს შეუძლია მხოლოდ მემამულეების ნებართვით იცხოვროს ამ ქვეყნებში, მაშასადამე, მემამულეების გამგეობას უნდა დაემორ-ჩილოს და მათ მიერ შემოღებულ დაწესებულე-ბებს პატივი სცესო. ამგვარ საბუთებისა და წეს-წყობილების წინააღმდეგ ერთი სიტყვაც არ გვეთ-ქმის, რადგან ყველა ეს პირდაპირი შედევია იმ თეორიისა, რომელიც ამტკიცებს, რომ მიწა კერ-ძო საკუთრებად უნდა იქნას აღიარებული. ამ სა-ბუთების უკუგდება მხოლოდ მაშინ შეიძლება, რო-ცა თვით თეორიას უარვყოფთ.

მართალი რომ სთქვას კაცმა, დღეს კაცთა ჭორის არც არის შეურყეველი რწევა, რომ მემა-

მულეთა საკუთრება ხელ-მიუკარებელია. თუმც კანონით ცნობილია ეს საკუთრება, მაგრამ იმავე კანონის ძალით მემამულეს ჩამოართმევენ ხოლმე აღგილს, თუ დასჭირდათ იგი რაიმე საზოგადო სარგებლობისათვის, მაგალითად, არხის, გზა-ტკეცილის ან რკინის გზის გასაყვანად. მიწის პატრონს არც კი ჰკითხავენ, თანახმაა იგი თუ არა, მხოლოდ უფლებას აძლევენ მოითხოვოს, რომ ზარალი უზღონ. როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ ყველა ეს? ამ გვარი შოქმედება ან სამართლიანია ან უსაშართლო. საზოგადოებას ან უნდა ჰქონდეს უფლება ჩამოართვას მემამულეებს იმდენი მიწა, რამდენიც მას დასჭირდება, ან მემამულეთა უფლება ხელშეუხებლად უნდა იქნას აღიარებული და საზოგადოებას ნება არა აქვს კანონის ძალით ჩამოართვას საკუთრება და უნდა ეცადოს მხოლოდ ნება-ყოფლობით დაითანხმოს მემამულეები და ყოველნაირი საზოგადო სასარგებლო მუშაობა იმ დრომდის უნდა გადასდოს. როდესაც საზოგადოება კანონს ჰქმნის იმის შესახებ, რომ კერძო მემამულეებმა უნდა დაუთმონ თავიანთი ადგილი საზოგადო სარგებლობისათვის, ამით იგი პირდაპირ ამტკიცებს, რომ მთელი ხალხის უფლება დედა-მიწის შესახებ ყველა კერძო მესაკუთრეთა უფლებას აღემატება. ამგვარად საზოგადოება ნათლად აცხადებს, რომ კერძო მესაკუთრეთა უფლება მხოლოდ საერთო თანხმობით არსებობს და როცა ეს თანხმობა მოისპობა, მაშინ კერძო საკუთრებასაც ბოლო მოედება, ერთი სიტყვით, რომ იგი არავითარ უფლებას არ წარმოადგენს“.

„ყველა ეს კეთილი და პატიოსანი, გვეტყვიან

ზოგიერთები, მაგრამ რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამ
თქვენ მოძღვრებას იმის შესახებ, რომ ყველა ადა-
მიანთ დედამიწით სარგებლობის თანასწორი უფ-
ლება უნდა ჰქონდეს? ნუ თუ იმ დროს უნდა და-
უბრუნდეთ, როცა დედამიწა განუყოფელი და დაუ-
მუშავებელი იყო და ზედ მცხოვრებნი ტყის პანტა-
ვაშლითა და ნადირის ხორცით იკვებებოდნენ“?

„სულაც არა. ჩვენი მოძღვრების განხორციე-
ლება მესავსებით ეთანხმება კაცობრიობის დღევან-
დელ ცივილიზაცია-განვითარებას; რეფორმა შეიძ-
ლება ისეთნაირად მოხდეს, რომ არავის არ დაავა-
ლონ თავისი მამული სხვებს გაუყოს. მხოლოდ კერ-
ძო საკუთრები გამოიცვლებიან. მედედამიწის მესა-
კუთრედ, მემამულედ, კერძო კაცთა მაგიერ მთელი
ხალხი იქნება გამოცხადებული. დღეს გლეხი მემა-
მულეს გამოართმევს ხოლმე მიწას სამუშაოდ, მა-
შინ კი საზოგადოებას მიმართავს. დღეს მემამულეს
აძლევს იგი ღალას, იჯარას, მაშინ საზოგადოების
რწმუნებულს მისცემს. ამ უამად ეს ღალა ხალხისა-
თვის სრულებით დაკარგულია, მემამულე თავისდა
სასარგებლოდ იჯიბავს ამ ფულს; რეფორმის შემ-
დეგ-კი ეს ფული სავსებით ხალხის საჭიროებას მოხ-
მარდება. მთელი მიწა საზოგადოების, ხალხის, სა-
კუთრებად იქნება გამოცხადებული და დღევანდე-
ლი მესაკუთრე ხალხის მოიჯარადრედ გახდება.

ამგვარი წესწყობილება ნამდვილი-სამართლია-
ნი და ზნეობრივ კანონთან შეთანხმებული იქნება.
ყველას დედამიწისაკენ გზა გაეხსნება, უფლება ექ-
ნება, რამდენიც სჭირდება, იმდენი მიწა დაიმუშაოს
და მოსავალი მოიყვანოს, ოღონდ დაწესებული
იჯარა აძლიოს საზოგადოებას, ის იჯარა, რომე-

ლიც საბოლოოდ ისევ იმისდა სასარგებლოდ იქნება მოხმარებული.

დღევანდელი ცივილიზაცია, კაცობრიობის განვითარება ერთობ ცალმხრივი და უსამართლოა. ხალხის უდიდეს ნაწილის, უმრავლესობის სარგებლობა მესაკუთრეთა და შეძლებულთა მცირე ჯგუფს ენაცვალა. ეს სასტიკი წესი მანამდის დარჩება, სანამ დედამიწა კერძო მემამულეთა ხელში იქნება. მიწის საკუთრება—დღევანდელ ბოროტ-მოქმედებათა დასაბამი და უმთავრესი წყაროა. დღეს საზოგადოება ასე არ უცქერის ამ საგანს, მაგრამ საქმის ვითარება ამით მაინც არ იცვლება. ველურობის ხანაში კაცის კვლასაც ცოდვად არა სთვლიდნენ. ინდოეთში მამაკაცი რომ მოკვდებოდა, ცოლსაც გააყოლებდნენ, იმის საფლავზე სწვავდნენ; როცა ველურები თავის ბელადს დასათლავებდნენ, იმის საფლავზე ას კაცს შესწირავდნენ მსხვერპლად. კაცის მჭამელი ველური ხალხი-კი, რასაკვირველია თავის ტყვეებს ისე უცქერის, როგორც საკლავ საქონელს და დაშვიდებულის გულით სჭიმს, როგორც თავის სამართლიან კერძს. ამგვარადვე ძველ დროშიაც ბატონ-ყმობასა და მონობას ისე უცქეროდნენ, როგორც ბუნებრივ, სამართლიან დაწესებულებას, როგორც ბუნებით თანდაყოლილ ადამიანის თვისებას, უზენაეს დადგენილებას, მართლი რომ ვსოდეთ, დღესაც ბევრს ნახავთ ამგვარ შეხედულების შომხრეს; ახალმა დრომ ახალი, უფრო სამართლიანი აზრი მოიტანა და დღეს ჩვენ კაცობრიობას საერთო უფლება უმაღლეს წმინდა უფლებად მიგვაჩნია. მაგრამ დღევანდელი ცივილიზაცია მაინც ცალმხრივი და თავის-კერძოა. მაგრამ .

შორს არ არის ის დრო, როცა ყველა შეიტყობს, რომ სამართლიანი წესი ჯერ-ჯერობით ასრულებული არ არის, როცა ყველა შეიგნებს, რომ ხალხი-საგან დედა-მიწით სარგებლობის უფლების ჩამორ-თმევა სიცოცხლისა და პირად თავისუფლების ჩა-მორთმევას უდრის.

მოკლედ რომ ავნუსხოთ ჩვენი საბუთები, უნ-და ვსთქვათ, რომ თანასწორ თავისუფლების კანონი სასტიკად მოითხოვს, რათა ყველას მიეცეს უფ-ლება დედა-მიწით ისარგებლოს იმ ზომით, რომ ეს თანასწორობა დარღვეული არ იქნას. ამ კანონს სავსებით ეწინააღმდეგება დღევანდელი კერძო მიწის საკუთრება. საბუთები, რომელთა შემწეობითაც დღეს ამართლებენ ამ კერძო საკუთრებას, უსამარ-თლო და უნიადაგოა. ამ დარგისაა აგრეთვე ის სა-ბუთები, რომელსაც მიმართავენ ხოლმე მიწის მუ-შაკნა, რათა თავიანთი უფლება დაამტკიცონ: ად-გილი ჩვენ დავიმუშავეთ და გავაუმჯობესეთო. უკვე განვიხილეთ, რომ კაცთა შორის დედამიწის დაყო-ფაც ვერ შეჰქმნის კანონიერ მესაკუთრეობას. თუ კანონიერად ვცნობთ, რომ დედამიწა კერძო კაცთ უნდა ეკუთვნოდეს, მაშინ ხალხზე სრული თვით-მცყრობელობაც უნდა ჩაუგდოთ ამ მესაკუთრეთ ხელში. დავინახეთ, რომ დღევანდელი კანონიც არა სცნობს დედა-მიწაზე კერძო მესაკუთრეთა ხელ-უხლებელ უფლებას და საერთო საჭიროების მიხე-დვით ჩამოართმევს ხოლმე მიწას. ბოლოს იმაშიაც დავრწმუნდით, რომ დედამიწის საყოველთაო საკუ-თრებად გამოცხადება სავსებით ეთანხმება ცივი-ლიზაციის უმაღლეს განვითარებასა და განათლებას. რაც უნდა ძნელი იყოს ამ ახალ მოძღვრების ას-

რულება, საშართალი სასტიკ მრისხანედ გვთხოვს
დაუყოვნებლივ ავასრულოთ.

ყველა ჩვენი ნათქვამი მოკლედ ასე უნდა ავ-
ნუსხოთ:

1) დედა-მიწაზე აღამიანთა თანასწორი უფლება
იქიდან წარმოსდგა, რომ ყველა ერთნაირად იბა-
დება ამ წუთი-სოფელში და ეს ქვეყანა ყველასა-
თვის განურჩევლად თანასწორ—საცხოვრებლადაა
მოწყობილი;

2) ამიტომ თანასწორობის წინააღმდეგია დე-
და-მიწაზე კერძო მესაკუთრეობა, რადგან ეს კანო-
ნი მემამულეთა ერთ ჯგუფს უფლებას ანიჭებს ხალ-
ხის უმრავლესობას დედა-მიწა ჩამოართვას;

3) დღეს არსებულ კერძო მესაკუთრეობის და-
საბამი კანონიერი და სამართლიანი არ არის; ზნე-
ობრივად ამ დაწესებულების გამართლება შეუძლე-
ბელია; ამიტომ იმ თავითვე უსამართლოდ შეძენილ
დედა-მიწის გაყიდვა, ანდერძით გადაცემა და ყუ-
ველნაირი მფლობელობაც უსამართლოა;

4) არ არსებობს არავითარი საშუალება, რო-
მლის შემწეობითაც შესაძლებელი იყოს დედა-მიწა-
ზე სამართლიანი კერძო-მესაკუთრეობა. ვინც დედა-
მიწას დაიმუშავებს და მთხვევას მოჰყვანს, უნდა ეპუთ-
ვნოდეს შრომის ნაერთვი და არა თვით დედა-მიწა;

5) საერთო თანხმობითა და ნებაყოფლობი-
თაც დედა-მიწის თანასწორად ღაყოფა შეუძლებე-
ლია, რადგან ამ გზით უფლება არ ექნებათ ისარ-
გებლონ დედა-მიწით ყველა იმათ, რომელნიც ამ
დაყოფის შემდეგ დაიბადებიან;

6) სამართალსა და უსამართლობის შორის
შუა გზა სავსებით უნდა უარვყოთ: ან ყველას უნ-

და ჰერინდეს უფლება ისარგებლოს დედა-მიწითა, ან ზოგიერთებს უნდა მიეცეს კანონის ძალით ნება უმრავლესობა დაჩაგრონ და სიცოცხლე მოუსპონ;

7) ნამდვილად სავსებით არავის არა სწამს მე-
მამულეთა საკუთრების ხელშეუხებლობა. კანონის
ძალით იმათ ჩამოართმევენ ხოლმე მიწას საზოგადო
სარგებლობისათვის და ამნაირად აბათილებენ მათ სა-
კუთრების დამამტკიცებელ საბუთებსა და ქაღალდებს,
ერთის სიტყვით, მემამულეთა საკუთრების უფლე-
ბას საერთო თანხმობით უდგია სული: ოფორტუ ეს
თანხმობა ირლვევა, საკუთრებაც ისპობა;

8) მიწაზე საკუთრების რეფორმისათვის სულაც
არ არის საჭირო სოციალიზმის ან კომუნაზმას ვანსორი-
რიულება და დღევანდველ წერძილების ძარანად შეცვლა.
საჭიროც არ არას, რთმ მიწა სახელმწიფოს გადაეცეს.
საჭიროა მხოლოდ, რომ ის იჯარა ან ღალა, რომე-
ლიც დღეს მემამულებს ხვდება, საზოგადოებას მი-
ეცეს საერთო საჭიროებისათვის;

9) მიწის საკუთრება ხალხის მჩაგვრელი, ბო-
როტ-მომქმედი დაწყებულებაა; მიწის წართმევა პი-
რად თავისუფლების და სიცოცხლის ჩამორთმევას
უდრის;

10) რაც უნდა ძნელი იყოს ამ რეფორმის გა-
ნხორციელება და ამ წუთი სოფელში ყველა ადა-
მიანის თანასწორ მემკვიდრეებად გამოცხადება, იგი
მაანც უნდა მოხდეს, რადგან ამას სისტემად შეითხოვს
სამართადი და წერძმარიტება.